დამტკიცებულია შპს მარნეულის
კოლეჯის დირექტორის
2019 წლის 4 ოქტომბრის
N 38 ბრძანებით

შპს მარნეულის კოლეჯი

ფარმაცევტის თანაშემწის სასერტიფიკატო

საგანმანათლებლო პროგრამა

მარნეული 2019 წელი

I. **სახელწოდება:** ფარმაცევტის თანაშემწის პროგრამა;

II. **პროგრამის ხელმძღვანელი** --- მზია ჩაგელიშვილი

III. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სკოლის** საბაზო ან სრული განათლება, ქართული ენის ფლობა B1 დონეზე.

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი ტიპის აფთიაქებში, სამკურნალო- პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, ფარმაცევტულ ფირმებში, ფარმაცევტულ ბაზებში, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში, პარფიუმერიულ მაღაზიებში.

პროგრამის მიზანი: მსმენელმა შეიძინოს ჯანმრთელობის დაცვის და სოცუზრუნველყოფის სფეროს პროგრესისათვის ფარმაცევტული საქმიანობის განვითარებაზე მორგებული კვალიფიციური კადრების შესაბამისი განათლება, რაც ითვალისწინებს: პარაფარმაცევტული და კოსმეტიკური საშუალებების მიღებას, აღრიცხვას, შენახვას, გაცემას, წამლის აღრიცხვას და შენახვას მათი ფიზიკურ ქიმიური თვისებების გათვალისწინებით, აფთიაქის სანიტარულ-ჰიგიენური და ტექნიკური პირობების დაცვას, აგრეთვე ბადების მიღებას, შენახვას, აღრიცხვას და გაცემას. ინსტრუქციის მიხედვით ამ ჯგუფის პრეპარატების შერჩევას მომხმარებლისთვის.

IV. **სწავლის შედეგები:**

პროგრამის გავლის შემდეგ მსმენელს ეცოდინება:
აფთიაქის ტიპები და კატეგორიები; ფარმაცევტული ნაწარმი და მათი კლასიფიკაცია; ფარმაცევტული ნაწარმის, განლაგება FIFO-ს პრინციპის დაცვით ფარმაცევტის მეთვალყურეობის ქვეშ, შენახვა მათი ქიმიურ- ფიზიკური თვისებების მიხედვით; აღწერა ფარმაცევტის მეთვალყურეობის ქვეშ; პარაფარმაცევტული, კოსმეტიკური საშუალებების და ბად-ების შერჩევა მომხმარებლისთვის და მათი რეალიზაცია. სხვადასხვა ტიპის აფთიაქებში ჰიგიენური და სადეზინფექციო პირობების დაცვა, სტერილიზაცია.სხვადასხვა ტიპის აფთიაქებში ჰიგიენური და სადეზინფექციო პირობების დაცვა, სტერილიზაცია.
პოგრამის გავლის შემდეგ მსმენელს შეეძლება:
ფარმაცევტული საქონლის აღრიცხვა, შენახვა ქიმიურ-ფიზიკური თვისებების გათვალისწინებით. პარაფარმაცევტული და კოსმეტიკური საშუალებების გაცემა. აფთიაქის აღწერაში მონაწილეობის მიღება, მომხმარებლისთვის პარაფარმაცევტული, კოსმეტიკური საქონლის და ბადების შერჩევა და რეალიზაცია
აგრეთვე ამავე საქონლის შეკვეთა, მიღება, შენახვა, აღწერა და რეალიზაცია. ელექტრონული საკომუნიკაციო სასუალებების გამოყენება საქმიანობაში, სამეწარმეო უნარების გამოყენება.

V. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:**

- **პროგრაის მოცულობა: 768**
- **პროგრამის ხანგრძლივობა 35 კვირა**

VI. **პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კურსები**

	სასწავლოკურსის დასახელება დასახელება	**საათები**
1.	კომუნიკაცია	64
2.	ლათინური ენა	32
3.	საინფორმაციო ტექნოლოგიები	64

4.	მეწამეობა	32
5.	პირველადი ექიმამდელი დახმარება	32
6.	ეპიდემიოლოგია	32
7.	ფარმაცევტული საქონელმცოდნეობა	64
8.	სოციალური ფარმაცია	64
9.	ზოგადი ჰიგიენა	32
10.	ფარმაკოლოგია	64
11.	წ/ფ ტექნოლოგია	64
12.	ფარმაკოგნოზია	64
13.	პრაქტიკა	160
	სულ:	**768**

VII. პროგრამის მსმენელის მიღწევების შეფასება:

- შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
- განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
- განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
  ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
  ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
- განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
- შეფასების ინსტრუმენტები გაწერილია სასწავლო კურსებში.
- ყველა სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით.
- შეფასების ინსტრუმენტების და მტკიცებულების კონკრეტულ ფორმას სასწავლო კურსის მასწავლებელი შეიმუშავებს სწავლის განხორციელების პროცესში.

VIII. სერტიფიკატის გაცემის წესი

სერტიფიკატის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი მიიღებს დადებით შეფასებას და დაადასტურებს სასწავლო კურსების ყველა სწავლის შედეგს. სერტიფიკატის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანიზაციაა შპს მარნეულის კოლეჯი.